**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 80**
(საქონლის შესყიდვა)

ქალაქ ფოთი **„03“** მაისი 2019 წელი

**1. ხელშეკრულების მხარეები**
1.1 ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (შემდეგში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას სახით და მეორეს შპს **„**კახური ტრადიციული მეღვინეობა“ (შემდეგში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზვიად ჩხაიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება").

**2. ხელშეკრულების საგანი**
2.1 შესყიდვის ობიექტი: საჩუქრების შესყიდვა (დანართი N 1-ის შესაბამისად).
2.2 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა.
2.3 კლასიფიკატორის დანაყოფი: 18500000 -სამკაულები, საათები და მონათესავე ნივთები.
კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 18530000 - საჩუქრები და ჯილდოები.

**3. ხელშეკრულების ღირებულება**
3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 186,00 (ასოთხმოცდაექვსი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის ჩათვლით.
3.2 სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

**4. საქონლის მოწოდების ფორმა, ადგილი და ვადა**
4.1. საქონლის მოწოდების ფორმა - საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4.2 საქონლის მოწოდების ადგილი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 12.
4.3 საქონლის მოწოდების ვადა: 2019 წლის 03 მაისი.

**5. ანგარიშსწორების პირობები და ვადები**
5.1. წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.
5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) გამოწერისა და მოწოდებული საქონლის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**5. მიღება - ჩაბარების წესი**
5.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ, უფლებამოსილ პირს წარმოადგენენ: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, რომელიც ხელს აწერს ქალაქ ფოთის მუნციპალიტეტის სახელით დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელს აწერს განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
5.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

**6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა**
6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 5 ივნისის ჩათვლით.

**7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**
**7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:**
7.1.1 მოსაწოდებელი ან/და მოწოდებული საქონლის რაოდენობის, ხარისხისა და მოწოდების ვადების

ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
7.1.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი თამარ გუგუშვილი.

**7.2. შემსყიდველი ვალდებულია:**
7.2.1 უზრუნველყოს მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.2.2 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
**7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:**
7.3.1 უზრუნველყოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
7.3.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
7.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

**8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**
8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**
9.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
9.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით;
9.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) პირგასამტეხლო განისაზღვრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
9.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
9.5 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 3%-ის ოდენობით.
9.6 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ, საჯარიმო თანხის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**
10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**11. სხვა პირობები**

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის წერილობითი ურთიერთობა ხორციელდება, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, მათ შორის, მხარეთა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

**13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:**

**,,შემსყიდველი"**

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი**
ს/კ 215138143,
ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 12,

Gocha Kurdgelia
Digitally signed by Gocha Kurdgelia
Date: 2019.05.03 18:28:42 +04'00'

---

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
**გოჩა კურდღელია**

**,,მიმწოდებელი"**

**შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა"**
**ს/კ 200075113**
მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,სულხან ცინცაძის ქ.N 12, მე-3 სართული, არასაცხოვრებელი ფართი N3-6
სს „საქართველოს ბანკი ", ბ/კ **BAGAGE22**
ა/ა GE56BG0000000827888400

Kakhetian Traditional Winemaking LLC
Digitally signed by Kakhetian Traditional Winemaking LLC
Date: 2019.05.03 18:14:43 +04'00'

---

დირექტორი
**ზურაბ ჩხაიძე**

## საჩუქრების შესყიდვა

### ფასების ცხრილი

| N | საქონლის დასახელება | რ – ბა | ერთეულის ფასი (ლარში) | საერთო ღირებულება (ლარში) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ჯიღურა წითელი მშრალი ჯიშების 0,750ლ | 8 | 20, 00 | 160, 00 |
| 2 | ბეგინ ბოქს საფერავი | 1 | 26,00 | 26,00 |
| | სულ ღირებულება | | | 186, 00 |

„შემსყიდველი"

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

Gocha Kurdgelia

Digitally signed by Gocha Kurdgelia
Date: 2019.05.03 18:30:01 +04'00'

---

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
**გოჩა კურდღელია**

„მიმწოდებელი"

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა"

Kakhetian Traditional Winemaking LLC

Digitally signed by Kakhetian Traditional Winemaking LLC
Date: 2019.05.03 18:15:10 +04'00'

---

დირექტორი
**ზურაბ ჩხაიძე**

## ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი „03" მაისი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია ვადასტურებ, რომ შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა"-სთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია

**ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ**

ქალაქი ფოთი **„03"** მაისი 2019 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი თამარ გუგუშვილი ვადასტურებ, რომ შპს ,,კახური ტრადიციული მეღვინეობა" -სთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში და ჩემი მონაწილეობა სასაჩუქრე ღვინოების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში (ხელშეკრულების შესრულების კონტროლი) არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი **თამარ გუგუშვილი**